წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. შაბათი, 19 ნოემბერი

საქართველო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე ბეჭდულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. ფოტოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათ. ს შემდეგ 5 შან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში

№ 489 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 489

ღ.რმათ დამწუხრებული ბებია და ბაბუა კატო და იაგორი გამსახურდიები, დედ-მამა მარიამ და ალექსანდრე ანჯაფარიძენი, დაძმანი ცაბუ, ბაგრატი, ბაბუცა, მანია და კოლია ანჯაფარიძენი აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ სოფელ აბაშაში წმ. ზაქარიას ეკლესიაში სამშაბათს 22 ნოემბერს 12 საათზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ გარდაცვალებულის პირველთა შვილიშვილისს, მეორეთა შვილისა და მესამეთა ძკირფასი ძმის სტუდენტის

შალვა (სუტუნია) ანჯაფარიძის

სულის მოსახსენებლათ.

დარისპან სიმონის ძე ჩიხლაძე, მეუღლე მისი პელაგია გრიგოლის ასული და შვილები მათი: ვალიკო, თამარა, ნადია და ქეთო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი, კიევის ფილოლოგიური ფაკულტეტის კურს დამთავრებული სტუდენტის:

ივანე (ვანო) დარისპანის ძე ჩიხლაძის

სულის მოსახსენებლათ, გადახდილი იქნება, პეტრეპავლობის ეკლესიაში, კვირას 20 ამ თვეს დილის 11 საათზე.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,

პატე ჟურნალი მიმდინარე ამბები

საცოდავი, სამხედრო საავადმყოფოში მოკვდა

ძლიერი დრამა 4 მაწ.

საუკეთესო ყოფა ძველის ძმრები

სახუმარო.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 21.

ორშაბათი, 21 ნოემბერი 1916 წ.

ა. სუმბათაშვილი:

ღალატი

5 მ. თარგმ. ყიფშიძისა

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ღოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. კომგეობისა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექიმმა ალექსანდრე მაძლიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ბუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. ო.

ექიმი ი. ბარეიშვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლგვაზოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ

დოკტორი მედიცინისა

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

მასაჟისტა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანდრივაძისა.

ეკურნავ მასაჟეთ, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სხეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაკვალიდებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობებს, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასად გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად ადარ ტეინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, ბ კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით

ექიმი ვაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. [illegible] ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,

პატე ჟურნალი

მსოფლიო ამბები

სიკვდილის ხვევნა

დრამა 5 ნაწ. პროლოგით.

პრენსი დაატუვეეს ძლიერ სახუმარო.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი დ. ო. ნიჟარაძე ამით აცხადებს, რომ კვირას 20 ნოემბერს ამა 1916 წ. დილის 10 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივი

კრება,

რომელზედაც განხილული იქნება გერმანელთა ქვეშევრდომთაგან მარგანეციან მიწების შეძენისა და სხვა საკითხები. (2—1)

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების

გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა კრება, 14 ნოემბერს 1916 წ. მოწვეული არ შესდგა.

ამისათვის იწვევს მეორე კრებას 4 დეკემბერს 1916 წ. 12 საათზე დილით

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში.

კრება ჩაითვლება კანონიერად.

რაოდენიც კი გამოცხადდება წევრი

კრების განსახილველი საგნები:

1) ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა კავშირის წინადადება საპენსიო კასაში შესვლის შესახებ.

2) წინადადება ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებისაგან შესახებ იმ საკითხისა, რომელიც აღიძრა სააქციონერო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებათა მონოპოლიაზე.

3) წინადადება საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებისაგან პიატიგორსკში დაარსებული სანატორიის ნივთიერ დახმარების შესახებ.

მსოფლიო ომი.

დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

ევროპელ მთავარსარდ. შტაბისაგან. 17 ნოემბერი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. 15 ნოემბერს საღამოს 9 საათზე, მოპირდაპირემ სოფ. ლაბუზისა და ნაგორნის მიდამოებში (მდ. შარზეა) მოშხამული გაზის ყუმბარები დაგვიშინა. ღამის 11 საათზე აქ გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ ზარბაზნებით და ხიშტებით მოვიგერიეთ. მდ. სტოხოდზედ, პატარა პორსკის მიდამოებში, მოპირდაპირე ჩვენს თხრილებს მოუახლოვდა სოფ. პუსტომიტის მიდამოებში, ვოროხტის დასავლეთით 6 ვერსზე ვაკარკის მიდამოების სამხრეთ-დასავლეთით 10 ვერსზე ავიღეთ მაღლობი კირლიბაბას მიდამოებში, კირლიბაბას აღმოსავლეთით მაღლობების ქედები და ვიუირეთ. ხელთ ვიგდეთ 11 ოფიცერი, 700 მეომარი, 6 ტყვიისმფრქვეველი და 1 ყუმბარისმტყორცნელი. კირლიბაბას სამხრეთით მდ. დოვტიანის ველამდე, მთელი წყება მაღლობებისა დავიპირეთ.

კავკასიის ასპარეზი. ყიგის აღმოსავლეთის მიდამოებში ოსმალებმა შემოგვიტიეს, მაგრამ უკუვაგდეთ. ვანის სამხრეთით ოსმალებმა შემოგვიტიეს სოფ. შუშანის მიდამოებში და შუშანსდაღის მთას.

რუმინეთის. ასპარეზი. დასავლეთ ვალახეთში მოპირდაპირის ჯარი აწვება რუმინელებს, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ იხევენ. 14 ნოემბერს სიღამოთი მოპირდაპირემ მიაღწია დარმანეშტ-დრაგანვატასეშტ-კოსტეშტი იზვორეფოს ხაზზიმნიჯ იდან ალექსანდრისაკენ მიმავალ გზებზე მოპირდაპირემ აიღო ბრუნაროა, ტოპორი, ვიერა, სლობოძეა და ჟურჟი. ჟურჟის მიმართულებით მოპირდაპირემ კულუგურენის გზატკეცილისაკენ იბრძენა პირი.

დობრუჯში ზარბაზნებისა და თოფების სროლაა.

ბუქარეტი. ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ფრონტი. მოლდავიის დასავლეთ საზღვარზე მდგომარეობა უცვლელია. ბუზეოს ველზე დრაგოსლავლის რაიონამდე მოწინავე რაზმთა შეტაკებაა, ამასთანავე საარტილერიო სროლა არ სწყდება. პროხოვის ველზე მოწინააღმდეგემ მხრჩოლავი ბოლისა და ცრემლსადენი ყუმბარები დაუშინა დასავლეთის ფრონტი. გუშინდელმა დღემ საზოგადოდ წყნარად ჩაიარა, გარდა ერთი მარჯვენა ფრთის უკიდურესი წვერისა, სადაც მტერმა მძიმე ზარბაზნებიდან დაუშინა.

ლონდონი. „ცეპელინთა“ თავდასმის დროს დიდი ნივთიერი ზარალი არ მომხდარა, თუმცა ასამდე ყუმბარა ჩამოჰყარეს. მოკლულია 8 ქალი, 5 მამაკაცი და 4 ბავშვი. 35 სახლი დაზიანდა. სამხედრო დანიშნულების ადგილებს სერიოზული ზიანი არ მისცემია.

ლონდონი. ოფიციალი ცნობა საფრანგეთიდან. გუშინ ღამით მტერმა საშინელი სროლა აგვიტეხა იპრის ჩრდილოეთით. ჩვენი დანაკარგი არაა მძიმე. სუშეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაღმი ავაფეთქეთ. მტერმა სამჯერ იერიში მოიტანა, მაგრამ უკუვაგდეთ.

პარიზი. სომას რაიონში, დუოშონის ნაწილში, საარტილერიო სროლა ვითარდება.

ლონდონი. დირიჟაბლმა ერთი ნაწილი დაესხა ინგლისის ჩრდილო აღმოსავლეთ სანაპიროებს ათიდან—11 საათზე. ყუმბარები ჩამოჰყარეს იორკშისა და დერგემის საგრაფოებში. ჰფიქრობენ, რომ ზარალი ნაკლები იყო. ერთს დირიჟაბლს ერთი ჩვენი საზღვაო ჰაეროპლანი დაეძგერა და ჩამოაგდო დერგემის ნაპირზე. მეორე დირიჟაბლი გაემართა ჩრდილოეთის საგრაფოებში. ამასაც საზღვაო ჰაეროპლანები დაესხნენ, თანაც განსაკუთრებულ ზარბაზნებიდან დაუშინეს, დირიჟაბლმა პირი იბრუნა. ეტყობოდა დაზიანება, თუმცა საკმაოდ მაღლა ფრენა შესძლო. იგი მხოლოდ დილის 6 საათზე ჩამოაგდეს ცეცხლ მოკიდებული ზარალის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

ათინა (გზაშია დაგვიანებული). ლარისსა, ტირნავოსა და ტრიპოლიცში რეზერვისტებმა ხელთ იგდეს სამხედრო მასალა და სამხედრო მატარებლებს არ უშვებენ. დილით ადმირალ ფურნიეს ადიუტანტი მეფესთან სადარბაზოდ იყო და საჩივარი წარუდგინა რეზერვისტების მოქმედების გამო. აგრეთვე მოითხოვა სტადიონის მაღლობებზე განზრახულ სიმაგრეთა დაწვრილებითი გეგმა.

ნაშუადღევს სასახლეში მეფის თავმჯდომარეობით მინისტრთა ოათბირი მოხდა.

სირის კუნძულიდან იტყობინებიან: ინგლისელების რაზმმა ჩამოუარა გერმანელების, ოსმალეთის და ავსტრიის საელჩოებს, წაიღო მნიშვნელოვანი საბუთის ქაღალდები და საელჩოებს დარაჯები მიუყენა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

„ნოვ. ვრემია“ რუმინელების უკანდახევის შესახებ სწერს: „ტრანსილვანიის სამხრეთის საზღვარზე რუმინიის ჯარმა საგრძნობლად უკან დაიხია.

რუმინიის მიწა წყლის დიდი ნაწილის დატოვებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რუმინელებზე და საერთოდ მოკავშირეებზე; გაგვახსენდა ძველი და კვლავ თავი იჩინა ძველმა წყლულმა.

— გერმანელების რუმინიაში წინ-სვლის შესახებ ვ. მიხაილოვსკი „რუს. სლოვოში“ სწერს:

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. მდ. შარაზე მოშხამულ გაზების გამოშვების შემდეგ გერმანელებმა რუსებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ მოიგერიეს მდ. სტოხოდზე ხან მოკლე ბრძოლა მოხდა. კირლიბაბის აღმოსავლეთით და სამხრეთით რუსებმა დიდი წარმატება ნახეს.

კავკასიის ასპარეზი. ყოგის აღმოსავლეთ მხრიდან ოსმალები რუსებს უტევენ. ვანის ტბის სამხრეთით რუსებმა ოსმალთა შეტევა შეაჩერეს.

დასავლეთის ასპარეზი. იპრის ჩრდილოეთით გერმანელებმა ინგლისელებს მკაცრი სროლა აუტეხეს. სომმაზე და მასსის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

რუმინიის ასპარეზი. დასავლეთ ვალახიაში გერმანელები წინსვლას განაგრძობენ, რუმინელები აღმოსავლეთისაკენ იხევენ. წინ იწევს აგრეთვე მაკენზენის ჯარი ზიმნიცასთან მდ. დუნაიზე გადასული რაზმი. დობრუჯაში სროლაა.

„რუმინიის გამოსვლის პირველ ხანებში რუმინელებმა ძალუმად წინ გაიწიეს და 17 ათასი კვადრატული ვერსის სიფართე ადგილი შეიმატეს; მაგრამ თავის მცირე ძალებით და ნაკლებ იარაღით რუმინელებმა თავის ბრძოლის პირი ჩვენ ბრძოლის ხაზს მაინც ვერ გაუსწორეს! პირიქით რამდენიმე ხნის შემდეგ იძულებულნი გახდნენ საზღვრისაკენ დაეხიათ. აქ ბუნებრივმა სიმაგრეებმა მათ საშუალება მისცა თვე ნახევრის განმავლობაში გერმანელებისათვის გაეძლოთ და სამხრეთისაკენ არ გადაეშვა ისინი. გენ ფალკენჰაინმა თავის ბრძოლის პირის მარჯვენა ფრთა ბავარიელთა ორი ახალი, მაშველად მოსული, დივიზიით და პრუსიელთა სამი დივიზიით გააძლიერა. დიდი ძალები შეჰყარეს გერმანელებმა აგრეთვე ალიუტის მიმართულებით; პეტროგრადის ავტორიტეტების სიტყვით ამ ალაგას მათ 2 კორპუსი ყავდათ. ფალკენჰაინის დანარჩენი ჯარი, რომელიც 17—20 დივიზიას შეადგენდა და 1/4 მილიონს უდრიდა, ბუქარესტის მიმართულებით უყენიათ.

ფალკენჰაინის ჯარის შეტევა დაიწყო 30 ოქტომბერს, როდესაც მან ვულკანის გასავალი განვლო; ხუთი დღის შემდეგ გერმანელები ხეობას გასცილდნენ და ბარში ჩავიდნენ. გერმანელთა წინსვლის სისწრაფე დღეში 6 ვერსტს უდრიდა. ბარში უფრო სწრაფად იწყეს წინსვლა და გერმანელები დღეში 12 ვერსტით. კრაიოვას აღებამ ერთბაშად გადასწყვიტა მცირე ვალახიის ბედი, თუმცა მის დაცვას უკანასკნელ წუთამდე სცდილობდნენ რუმინელები“.

— გენ. როკკს იტალიაში ყოფნის დროს მეფესთან და მთავარ სარდალს გენ. კადორნას დიდი ხანი ულაპარაკნია იტალიის ძლიერი ჯარის ალბანიაში გაგზავნის შესახებ. გენ. როკს უთქვამს: რუმინეთს გადავარჩენთ, თუ ბულგარეთს ორის მხრიდან, სალონიკიდან და ალბანეთიდან შევუტევთ და ბულგარეთი საფრთხეში ჩავარდებაო.

— ინგლისურ „ტაიმსის“ სიტყვით რუმინელებს დღემდე 20 ათასი გერმანელი, ავსტრიელი და ბულგარელი დაუტყვევებიათ.

— იგივე გაზეთი ეხება რა რუმინიის მდგომარეობას, სწერს: თუ რუმინიის კამპანიაში რაიმე შეცდომები დავუშვით ამის გამორკვევა ექსპერტებს მივანდოთ; გერმანელები კი ვერ მოიგებენ ომს, თუნდაც ბრწყინვალედ გაიმარჯვონ რუმინიაში და სრულიად გასრისონ იგი. ეს კარგად უწყიან თვით გერმანელებმა, მაგრამ მაინც უტევენ რუმინიას, რომ ამით დაარწმუნონ თავის ძლიერებაში და ზავის ჩამოგდების აუცილებლობაში.

ზარბაზნებისა და ტყვიაწამლის დამუშავების საქმე ინგლისში იმდენად კარგად ყოფილა დაყენებული, რომ ამერიკას აღარ უკვეთავს. თუ საჭირო შეიქნა ინგლისს ადვილად შეუძლიანო პირობა დაარღვიოს და ამის ჯარიმაც გადაიხადოს.

— ლლოიდს ატყობინებენ, რომ ინგლისის გემები „რონა“ და „სიტი—ოვ—ბირმინგამ“ დაულუპავთ. გემი „ისტონი“, რომლის შესახებაც იტყობინებოდნენ, რომ იგი დაიღუპა, დაზიანებული დაბრუნდა.

— ნორვეგიის გემი „ზისბორგი“ საუტჰოინიდან 14 ვერსტის მანძილზე გერმანულ წყალქვეშას დაულუპავს. წყალქვეშას ჩაუძირავს აგრეთვე ნორვეგიის გემი „ბელეისლ“, რომელსაც ბოლბაოდან მილდსბოროში სპილენძი მიეზავნა.

— მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთში გერმანელებმა საჰაერო რაზმები გაძლეს და თვით რუმინიის მიწაწყალზე ხშირად დაფრინავენ, მოკავშირეთა მფრინავები მაინც ახერხებენ სალონიკიდან ბუქარესტში გადაფრენას. ბოლო დროს ეს გადაფრენა რეგულიარულად ხდება და 6 საათს თხოულობს. ამას წინად სალონიკიდან ბუქარესტში მოიტანეს პროკლამაციები, რომლებიც ბულგარეთში ჩამოყარეს.

— ადმირალ ფურნიეს საბერძნეთის მთავრობისათვის განუცხადებია, თუ 1 დეკემბრამდის მოთხოვნილ იარაღს არ გადმოგვცემთ, საბერძნეთის გარემოცვას განვაახლებთო.

— ლონდონში გარდაცვლილა სერ—ხირამ-მაქსიმი, რომელმაც გამოიგონა ტყვიის მფრქვეველი.

— შვეციის გემი „რეზერვ“ ოავის ნავთსადგურში ბრუნდებოდა, როდესაც გერმანიის გემები შეხვდნენ. გერმანელებმა „რეზერვაზე“ თავის მეზღვაურები დააყენეს და ის იყო გემი გერმანიაში უნდა წაეყვანათ, რომ შვეციის წყალქვეშა გამოჩნდა; „რეზერვ“-ი ისევ მალმეში მიიყვანეს, ხოლო გერმანელებს დასჯა მოელოდათ, მაგრამ შვედელებმა რაღაც მოსაზრებით „რეზერვ“-ი ისევ გერმანელებს ჩააბარეს. ამ ცნობას მოკავშირეთა შორის აღშფოთება გამოუწვევია.

— სალონიკში ამ დღეებში მოკავშირეებს 100 ათასი ახალი დამხმარე ჯარი გადაუსხავთ.

— საბერძნეთის სანაპიროების იხლოს გერმანულ წყალქვეშებს საბერძნეთის სამი გემი კიდევ დაუღუპავსთ.

გერმანიის საამირბარომ გამოაცხადა, რომ წარსულ თვის განმავლობაში გერმანულ წყალქვეშებს სულ 393,000 ტონ. წყალწყვის გემები ჩაუძირავთ.

სამხედრო მიმოხილვა

რუმინიისათვის გადამწყვეტი დრო მოახლოვდა. გერმანელები მძლავრ შეტევას განაგრძობენ და რუმინეთის ჯარი შუაგულისაკენ მირეკეს.

როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული გერმანელების მოქმედების სხვათა შორის სისწრაფე ახასიათებს; ისინი მოსვენებას არ აძლევენ რუმინელებს. ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო დასავლეთ ვალახეთის დაპყრობა, რომ აღმოსავლეთ ვალახეთს შეუტიეს სამი მხრიდან.

ეს აზრი მთავარსარდლის უკანასკნელმა ცნობამ სავსებით გაამართლა. მაკენზენის ჯარის ერთ ნაწილს, რომელიც ზიმნიციდან აღმოსავლეთისაკენ გაემართა რუმინის ცხე ჟურჟევასთვის უკვე შემოუვლია ჩრდილოეთის მხრიდან და ჟურჟევო-ბუქარეშტის რკინი გზა გადაუჭრია და ამნაირად ჟურჟევის გარნიზონი ბუქარეშტთან მომქმედ ჯარისათვის მოუწყვეტია.

ეს ჯარი ვერც თვით გაუწევს ბულგარელებს წინააღმდეგობას და ვერც ბუქარეშტის ჯარს მიეშველება.

ამავე დროს გერმანელებს გამოულაშქრებიათ პრახოვისა და ბუზეოს ველებით.

შ‍ერედი.

ფრანც იოსები.

იმპერატორი ფრანც იოსები ცხოვრების ასპარეზზე პოლიტიკურ ჭექა-ელვამ წამოაყენა და ბედის მიერ ისე ყოფილა ნაკარნახევი, რომ სულიც პოლიტიკურ ჭექა ელვის დროს დაელია.

1848 წ. როდესაც ავსტრო უნგრეთის ხალხი აღელვებულ ზღვას წააგავდა, როდესაც ხალხს და დინასტიას შუა უკვე შემაერთებელი ხიდი ჩატეხილი იყო, როდესაც ვენის ქუჩები საშინელ სანახაობას წარმოადგენდენ და აღელვებული ხალხი მზათ იყო, დაემხო მონარქია და მის ნანგრევზე დემოკრატიული რესპუბლიკა მოეწყოთ, როცა ხალხი მუქარით უკარნახებდა მაშინდელ ავსტრო-უნგრეთის იმპერატორს ტახტი დაეთმო, როდესაც სახელმწიფოებრივი ძალა „შინაურ მტრების“ დასამშვიდებლად ველარას აწყობდა და იძულებული შეიქნა დახმარება ეთხოვა რუსეთისათვის, რათა როგორმე აღედგინა თავის პრესტიჟი უნგრეთში, აი სწორედ ამ დროს ფრანც იოსების ბიძამ, მაშინდელმა იმპერატორმა მთელი დინასტიის ინტერესებისათვის ისმინა „ხმა ერისა“, გადადგა ტახტიდან და თავისავე სურვილით სამეფო ტახტზე ასასვლელად 18 წლის ფრანც იოსებს მოუწოდა.

ფრანც იოსებს იმპერატორათ გამოცხადების დღეს მეფის სასახლე დიდებულ სურათს წარმოადგენდა... ავსტრიის ბრწყინვალე საზოგადოება, სასახლეში მიპატიჟებული, გულის ფანცქალით მოელოდა ფრანც იოსების გამოცხადებას. აი აგერ შემოვიდა დაფიქრებული მეფე, რომელსაც მომავალი მეფე ფრანც იოსები მოყავდა ხალხი სმენათ იქცა... პირველმა მინისტრმა წაიკითხა ყველასათვის გასაგონათ იმპერატორის უმაღლეს რესკრიპტი, რომ ის ხალხის სურვილით უთმობს ტახტს ფრანც იოსებსო. ფრანც იოსებმა მორჩილებით დაიჩოქა და დალოცვა გამოსთხოვა ბიძას.

ხალხი კვლავ სმენათ იქცა.

იმპერატორი მიაჩერდა მომავალ იმპერატორს და ჩუმი ხმით უთხრა:

— ხალხი გიწვევს ტანჯვისაკენ. გზა შენი იქნება გრძელი და მათანვე ათასნაირ სხვადასხვა ნაირ უბედურობით სავსე... შენი ინტერესები ცხოვრებაში შესწირე ხალხს და მუდამ სიმართლე გწამდესო...

და თან ლოცვით სამეფო გვირგვინი თავს დაადგა...

ფრანც იოსების მიერ განვლილმა ცხოვრებამ სავსებით გაამართლეს ეს სიტყვები... გზა ფრანც იოსების შეიქნა მეტის მეტათ გრძელი და ათასნაირ უბედურებით სავსე...

მისი მეფობა გაგრძელდა 68 წელს, რომელიც საშუალოთ ადამიანის ხნეობას გადასცილდა.

პირველი დღეები ფრანც იოსების მეფობის მეტათ არა სასიამოვნო იყო. შინაურ მტრების გარდა გარეშე მტრებიც ილესავდენ კბილებს... პეტრე დიდის არ იყოს, ერთად ერთი იარაღი ხალხის დასამშვიდებლად მეფობის დასაწყისში სახრჩობელა იყო, რითაც ქვეყნის მამულიშვილები განუკითხავათ ისჯებოდენ. ამ დროს მთელ იმპერიაში ანარქია იყო. გამეფებული ბ ხალხს სდევნიდენ [illegible] ღის საშუალებით. ხალხ [illegible] რეაქციამ დროებით [illegible]

მაგრამ ისტორიისათვის საჭირო შეინა საბოლოოთ გამარჯვება ხალხისთვის [illegible]გუნებია.

ეს გამარჯვება ხალხმა მოიპოვა არა არაღით, არამედ იმ ცვლილებით, რომელიც ერბამათ ფრანც იოსებში მოხთა. ფრანც იოსების საქმეები ძლიერ ცუდად მიდიოდა... მისი ინიციატირობა ყველგან დამარცხებით თავდებოდა... იტალიის მიერ ვენეციის წართმევამ და შემდეგ პრუსიის მიერ სადოვოისთან სასტიკათ დამარცხებამ ავსტრია იძულებულყო პრუსიისთვის დაეთმო გეგემონია ჩრდილო ევროპის გერმანელთა სახელმწიფოთა კავშირში.

ამ ისტორიულმა დამარცხებამ ფრანც იოსებს წინ დაუყენეს შემდეგი მიზდინარეობა.

მის წინ, მისვე მეფობის ქვეშ მისი სახელმწიფო ფეხ ქვეშ ითელებოდა გარეშე მტრებისაგან. ბევრის ფიქრით ამ დროს გაგსბურგთა იმპერიის დღეები დათვლილი იყო... იმპერიის დანგრევას ხელს უწყობდა აგრეთვე ის ეროვნული ბრძოლა, რომელიც სხვა და სხვა ერებს შუა ავსტრო უნგრეთში ძლიერ გაძლიერებული იყო... რა ექნა ამ შემთხვევაში ახალგაზდა იმპერატორს ითქმის, რომ მაშინ მთელ მის იმპერიაში კაცი არ მოიპოვებოდა, რომ „ფიქრი ენდო, ნდობა თვისი გაეზიარებია“... აი სწორედ ამ დროს მოხთა ის, რამაც შემდეგ ფრანც იოსები მთელი კაცობრიობის თვალში აამაღლა და მისი სახელი დიდი ზარავარდენით შემოსა. ფრანც იოსებმა კაშკაშვრების დროს თავისი ნებით ხალხს მოუწოდა... მის სურვილებს ნდობა გამოუცხადა და ყველა ეროვნებებს მიანიჭა ,სეთ ნაირი თავისუფლება, რავარნაირიც ჩვენს კურთხეულ რუსეთში სიზმარშიაც არავის დაესიზმრება.

იმის გარდა რომ რამოდენიმე თვით ავსტრიის კუთხეს ავტონომიური მართვა გამგეობა ებოძა, უნგრეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა გამოცხადებული და რამოდენიმე ხნის შემდეგ ფრანც იოსები ბუდაპეშტში უნგრეთის მეფედ ეკურთხა და დიდებულად შეჰფიცა უნგრელ მამულიშვილებს, რომ ის ისეთ ერთგულათ დაიკავებს თავის ახალ სამეფოს, როგორც ძველსო.

მაგრამ ეს არ იყო მისი უკანასკნელი მოქმედება ამ დარგში. ის დროთა განმავლობაში ყოველნაირად ასრულებდა ხალხის ნებას, და გასაკვირალი არ არის, რომ ის შემდეგ მთელ იმპერიაში საერო გმირათ იქცა და ხალხი მას შემდეგ სრულ ნდობას უცხადებდა.. მწერლობაში ამის შემდეგ დამკვიდრდა შეხედულობა, რომ ფრანც იოსები კიდეც მეფობს და კიდეც განაგებსო, რაც თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში გამონაკლის შეადგენსო.

ამის შემდეგ ითქმის რომ იმპერიის საქმეები კარგათ წავიდენ.. მაგრამ სწორედ აქი-

თაფლოს იამება!

(თანამედროვე სურათები)

„ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან,
ზოგსა კაცსა კაცუნია“.

ქალაქიდან ახლად დაბრუნებული სოგრატა გაბილაძე რკინის შეშით გამხიარულებულ ბუხრის ახლო მდგომ სავსე მაგიდას მოჯდომოდა და ვახშამს შეექცეოდა. მისი დიდრონი თაფლის ფერი თვალების ბრიალი, ნახევრად ჭაღარა ფართე წარბების აწევ დაწევა, ხან ტკბილი ღიღინი, ხან კი ხმა-მაღალი სიცილი და ღანჭაპურა ბაასი,—ყველა ეს მჭერმეტყველურად ამტკიცებდა, რომ ეს ორმოცდაათი წლის, ცხოვრებისაგან გამომწვარი, ადამიანი დიდად ნასიამოვნები დაბრუნებულა ქალაქიდან. სოგრატას ხშირად მიჰქონდა წითელი ღვინო პირისაკენ და თვითეული ჭიქის დაცლის შემდეგ ბეჯითად იმეორებდა ერთსა და იმავე წინადადებას: „არ ამოხვალ შე ოხერო სულო“.. ღვინისაგან მიღებულ სიამოვნებას ამითი გამოხატავდა.

სოგრატას გვერდით უჯდა ცოლი; ისიც ძალზე გამხიარულებულიყო ტ რაღაცა ახარებდა.

სოგრატა და თაფლო აგერ ოცდა-ხუთი წელიწადია რაც ერთად ცხოვრობენ, ბევრი ტკბილი და მწარე დღეები უნახავთ, მაგრამ ამ ღამეს ისე ეპყრობოდენ ერთი მეორეს, როგორც ახლად ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი, რომელსაც ჯერ კიდევ არ უნახავს წუთისოფლის შხამიანი გრჭყალების გემო, ჯერ კიდევ არ გაცნობია დაკლაკნილ ბოროტებით აღსავსე ცხოვრების გზას.

სოგრატამ ყმაწვილობაც კი მოიგონა თაფლოს ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა და უთხრა:

— თაფლო ჯან, კარგათ მიდის, გენაცვალე, ჩვენი საქმე. სიცოცხლე ვსთხოვოთ ღმერთს მეტი არაფერი გვესაჭიროება. იმისთანა საშოვრის წყარო ვნახე, რომ უკეთესს კაცი ვერაფერს ინატრებს. ერთი წელიწადი თუ კიდევ გაგრძელდა დღევანდელი ომი, ისე მოვაწყობ საქმეს, ჩემო კარგო, რომ სანატრელი აღარაფერი გვექნეს. როგორ? არ გჯერა რას მიკვირდები?.. ამ სიტყვების შემდეგ სოგრატამ ჯიბეს ხელი გაიკრა და იქიდან ამოაძრო თავისი „ბებერი პორტმანი“, როგორც თითონ ეძახდა, თაფლოს გადაუგდო და დაატანა:

— ა, ნახე... ბევრჯერ გაუხარებიხარ ამ ბებერ პორტმანს. შენზე რომ ჯვარი დავიწერე იმ წელიწადშია ნაყიდი, ჩემსავით დაბერდა. უნდა გითხრა სიმართლე მიყვარს, იღბლიანია. დათვალე?.. გიაჰა?! აბა როგორ ბბგონია, მე გახლავარ სოგრატა გაბილაძე!..

— უი შენ კი გენაცვალოს თაფლო!.. ამას რას ვხედავ?

სად იპოვე, კაცო, ამდენი ფულები? სიხარულისაგან თვალები ამიჭრელდა, მე ამ ფულების დათვლა არ შემიძლია!

— შოვნაა ძნელი, ჩემო თაფლო, თორემ დათვლა ადვილია. ან კი რა საჭიროა დათვლა; აქ სულ ოცდა თორმეტი თუმანი და სამი მანეთია. ა, წაიღე, ქალო, მიუმატე იმ ფულებს, ამას წინად რო მოგიტანე. ოცდა ათ თუმანს ხვალ ან ზეგ ავკრავ ხელს, ამას არ უნდა ლარი და ხაზი, ჩავაწყობ ამ „ბებერ პორტმანში“ და აქ, ამ ბუხართან ჩამოგითვლი ხელში. უნდა გითხრა, ჩემო კარგო, რომ გუშინ ძლიერ „მსუქანი ცხვარი“ მყავდა ხელში, გვარიანი ნაჭერი ჩამოვთალე მის დუმას. ოცდა თორმეტი თუმანი!. ხომ გარგი ფულია ოცდა თორმეტი თუმანი? ა, რას იტყვი, თაფლოჯან?..

თაფლომ პასუხის მაგივრად გაიღიმა.

— ეს რა არის! ახლა ხვალ ნახე იმისთანა მსუქანი ცხვარი მეყოლება ბრჭყალებში, რომ შენი მოწონებული! თაფლო, შენ, გგონია, უნდა იცნობდე როსაფა ყრუაძეს?..

— როგორ არ ვიცნობ; კაცო, დურგალი რომ არის.

— დიაღ, დიაღ ის არის. ჩვენი სასიმინდე და ბეღელი მისი გაკეთებულია.

— მახსოვს, კარგად მახსოვს.

— ერთი შვილი წასულ წელში წაართვეს საწყალს, ახლა მეორეს ართმევენ მეტი არც ყოლია, არც ეყოლება.

— საწყალი!.. ეცადე თუ მე გიყვარვარ, სოგრატ, იქნება გაუნთავისუფლო ბიჭი.

ეს სიტყვები ისეთი კილოთი უთხრა ქმარს თაფლომ, თითქოს მართლა სოგრატაზე ყოფილიყოს დამოკიდებული საზოგადოდ ახალგაზდებს წაყვანა ან დარჩენა.

— გაანთავისუფლე!.. რა ადვილად ამბობ, ჩემო თაფლო, მე ვინ უნდა გავანთავისუფლო, რა შემიძლია. როსაფას ბიჭს ანთავისუფლებს ავათმყოფობა.

— მაშ შენი დახმარება რაში გამოიხატება, სოგრატ?

— ეს ჩემი საიდუმლოა, ჩემო თვალის სინათლევ. შენ ფულების შენახვა შეიძელი გარდა ამისა, ილოცე ღმერთი, რომ დღევანდელი ომი გაგრძელდეს ერთ წელიწადს მაინც, მეტი ჩვენთვის არ იქნება საჭირო.

თაფლომ მღიმარე სახით გადახედა ქმარს და კმაყოფილმა უთხრა:

— სოგრატ, ფულების ხვეტის შნო შენ ყოველთვის გქონდა. ცოტა მოძრაობის დროს მიმტყუნა ბედმა, მაგრამ..

— ა კარგი, თუ ქალი ხარ, ახალთაობას ნუ გამახსენებ. ძლიერ დავიტანჯე მაშინ, მაგრამ მოვინელე, არა უშავს.. ბევრი კარგი დროები მქონდა. ხო გახსოვს როგორ ვხვეტავდით, თუმცა, უნდა გითხრა სიმართლე, დღევანდელი დღისათვის ვერც ერთი დრო ვერ შემიდარებია. სწორედ რომ დუმის თლის დროა.

სოგრატი სრულ სიმართლეს ამბობდა იმას დიდი სწავლა-განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ დიდ ნასწავლად კი მოჰქონდა თავი. ხალხის სიყრუით, დიდად სარგებლობდა. ხალხი მას წარმოედგინა „სათლელ დუმად“ და როცა შემთხვევა მისცემდა კიდეც სთლიდა მას რა არ უწყობდა სოგრატს ხელს!.. დრო, ხალხის სიყრუე, ხალხის „პატრონები,“-ყველა ეს მის ხელში ასრულებდა დუმის სათლელ დანის როლს. საზოგადოების შეგნებული პირები ხედავდენ სოგრატას ოინებს, მის გაიძვერობას, მის გაქნილობას, მაგრამ ტუჩზე ხელს იფარავდენ. მხოლოთ მოძრაობის დროს ამ პირებმა დაილაპარაკეს სოგრატაზე როგორც საზოგადოებისათვის მავნებელ პიროვნებაზე, ასე რომ ჩვენი სოგრატა იძულებული იყო ბოდიში მოეხადა ხალხის წინაშე და სიცოცხლე ეთხოვნა. მაგრამ დაჰქროლა ახალმა სიომ. სოგრატები გამოძვრენ სოროებიდან. გამოცხაადდა მსოფლიო ომი და მათმა არა ადამიანურმა მოქმედებამ მიაღწია უმაღლეს წერტილო.

ომის გამოცხადებისთანავე სოგრატა გაბილაძემ სხვა სოგრატტთან ერთად, დასტოვა სახლი მას დღეს ხშირად შეხვდებით გზაში. ხშირად ნახავთ ამა თუ იმ სასტუმრო-სამიკტნოებში მოქეიფეს, ლაზარეთების გარშემო მოხეტიალეს, სამხედრო საკრებულოების ეზოებში აზუტულო. დღიდან ომის გამოცხადებისა არა ერთი და ორი სოფელი შეიქნა მისი მსხვერპლი არა ერთმა და ორმა სოფელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან იწყება მის ცხოვრებაში ახალი ხანა, რომელიც პირადათ ფრანც იოსებისთვის საშინელი რამ იყო და გვირგვინოსანი შეეე ცხოვრებაში ნამდვილ შექსპირის ტრაგიკულ პიროვნებათ აქცია...

ჯერ იყო და ანარქისტებმა ევნევაში მეუღლე მოუკლესს... შემდეგ ერთი ძმა მეი მაქსიმილიანი მექსიკის რევოლიუციი ... დროს იმ ქვეყნის დროებით მეფედ არჩიეს, მაგრამ შემდეგ კვლავ ხელმეორე ...ევოლიუციის დროს ჩამოგდებული იქნა ...ახტიდან და სამარცხვინოთ იქნა დახვრეტილი სვეტზე მექსიკანელების მიერ ქალაქ მექსიკოსში.

მეორე ძმამ ვინცხა ველური ოფრიკელი ქალი დაიახლოვა და შემდეგ უარი სთქვა სამეფოს გვარეულობაზე და ამ ქალს გაყვა ვითარცა ველური. ამბობენ რომ, ვითომც ის დღესაც ცოცხალი იყოს და მწყესობას ეწეოდეს აფრიკის გაშლილ ველ მინდვრებშიო.

ხოლო პატარა ხანის შემდეგ რომანიულ ნიადაგზე თავი მოიკლა ტახტის მემკვიდრემ. რასაკვირველია, რომ ამ მოვლენებმა დიდი დაღი დაასო ფრანც იოსების გულს მაგრამ ის თითქოს ამას არ გრძნობდა, ის გარეგნულად თავის კერძო ინტერესებს ემსახურებოდა... ყოველი ღონით მას აძლიერებდა და სწავლა განათლებას უხვად ფენდა. მის ღვაწლს ისტორია არ დაივიწყებს და შესაფერისათ დააფასებს.

როცა ფრანც იოსები სამეფო ტახტზე ავიდა, მაშინ წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი მთელს იმპერიაში 30% ძლივს იღწევდა, ხოლო ეს რიცხვი ბოლო დროს 90% ავიდა, რაც დიდი პროგრესია შედარებით 60 წელში შექმნილი.

ამ დროს შით მყოფნი სხვადასხვა ეროვნებაც ძლიერ მადლიერი იყვნენ ფრანც იოსების პოლიტიკისა.

კერძოთ პოლონელებმა ისეთი ნდობა გამოუცხადეს მეფეს, რომ შეთხზეს ერგვარი ფორმულა:—ავსტრო უნგრეთი, რომ არ ყოფილიყო, ჩვენ უნდა შეგვექმნაო. ეს ადვილი ასასხნელია, ვინაიდან პოლონელებმა თავისუფლად მხოლოდ ამ იმპერიის საზღვრებში ამოისუნთქეს.

არც გარეშე საქმეებს მიდიოდენ იმ დროს ცუდათ. ბისმარკის გამჭრიახობით ავსტრიამ ბერლინის კონგრესზე მოულოდნელი საჩუქარი მიიღო და ბოსნია ჰერცეგოვინა ავსტრო-უნგრეთის პროტექტორობის ქვეშ გადავიდა.

რკინის კანცლერმა თავის გამჭრიახობით ერთბაშათ ორი კურდღელი დაიჭირა:—ერთი მხრით რუსეთის გავლენა ბალკანეთზე დროებით დაამარცხა რომ არაფერის გზით დიდი სერბეთი არ შექმნა და მეორის მხრით მოიგო ავსტრო-უნგრეთის გული და ამ საშვალებით ჩაუყარა საძირკველი იმ პოლიტიკურ კავშირს, რომელიც შემდეგ სამთა კავშირათ იქცა..

1908 წ. გამოცხადებულ იქნა უმაღლესი მანიფესტი ბოსნია ჰერცოგოვინის ანექსიის შესახებ რომელიც შემდეგ საბაბათ დაედო საერთაშორისო ომს, რისი მოწმენიც ჩვენ ვართ ამ ჟამათ.

14 ივნის 1914 წ. სარაევოში მოკლულ იქნა ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი ამის გამო ავსტრო უნგრეთმა სერბიას ომი გამოუცხადა...

შემდეგ ეს ომი მსოფლიო ომათ იქცა, რომელსაც ბოლო არ უჩანს თვით ფრანც იოსებს არ დასცალდა ომის დასრულება და ვენაში სამუდამოთ დახუჭა თვალი.

თუ ავსტრო უნგრეთს დამარცხება ელის მაშინ ფრანც იოსები ბედნიერათ ჩაითვლება რომ ამ საშინელებას არ მოესწრო.

მ. სიარხელი.

ლიმახის ტბაზე.

ამოცურდა თეთრი მთვარე, თეთრი მთვარე გულ-მკერდ ღია,
მიწას სევდა—ბნელი რიდე გადაფხრიწა გადახია;
ლაჟვარდოვან ტბის სივრცეში ჩააშუქა თეთრი სხივი,
და შეირხა მყის ტბის პირი, ტბის გულ მკერდი ეგზომ ცივი;
გულს ჩაიკრა ვარსკლავთ ხომლი, თვით მთვარესაც გაეცინა,
მასაც მკერდი გადეშალა, თვის სილრმეში მისცა ბინა;
და ნიავმაც რა ეგ ნახა, შეკრთა. ველარ მოითმინა,
ასისინდა და მოხდენით შეარხია თეთრი მინა.

ოჰ, ბუნებავ ამ გვარ სურათს როს ვუცქერდი, **როს ვნახავდი,**
გულში გრძნობაც ფრთასა შლიდა, შენს საქებრად ლექსებს **ვსთხზავდი;**
და დღეს რა ვქნა, ჩემო შვებავ, გადაეკრა ჩემს ფიქრს ბინდი,
და გიყურებ გარინდული, ვით გაყინვით დანამშვიდი!
რა ვქნა, რა ვქნა, თუ რომ ჩემთვის არც სევდაა, აღარც შვება,
მოკვდა გრძნობა, რაც მებადა და მეორედ ვერ აღსდგება!..
რა ვქნა, რა ვქნა, თუ რომ ჩემში სიცივისა დაჭრის ქარი—
ჩაქრა ცეცხლი საუკუნოდ, განსვენების დაჭკრეს ზარი.

II

ჩუ შეირხა უცებ ტალღა, გასრიალდა მაზედ ნავი:
შიგ ორი ზის—ქალის მკერდზე მიუყრდნია ვაჟსა თავი...
ქალმა უთხრა: „ჩემო კარგო, პესიმისტნი ტყულს იტყვიან,
ნუ თუ მხოლოდ ტანჯვა გვკვებავს, ნუ თუ ყოფნას ტანჯვა ჰქვიან?!
განა ჩემო, ოდეს შენგან კოცნის წვიმა დამეყრება,
ნუ თუ მასში არა ღვივის საუკუნო ნეტარება?
ოდეს გრძნობით აზვირთებულს გადმენაბვის შორცხვად თვალი,
ნუ თუ ისიც მეგობარო, წუთია და წარმავალი?!.
მაშ რა მოკლავს ჩვენს სიყვარულს?“

სიტყვა ვეღარ დაასრულა,
ვაჟი იმის ცხოველ ტუჩებს
დაეწაფა, უერთგულა.

ეჰ იცოდე ნორჩო ქალო, გრძნობა შენი რა რიგ სცდება,
სუკუნო არრა არის, ყველა მიდის, ყველა ჰქრება!
დღეს ოცნებობ ნორჩო გულო, სიყრმის სიზმრებს ეტანები,
როს იხილავ ტრფობის საგანს შენ მას ხარბათ ეწაფები,
და არ იცი ეგ სასმელი მხოლოდ პირველ არის ტკბილი,
და შემდეგ კი გამწარდება საწამლავად გარდაქმნილი,
და მოგწამლავს მეოცნებევ, და მოგწამლავს შეუბრალად,
და მაშინ კი პესიმისტებს წაიკითხავ გაუმწყრალად,
და თუ შეგხვდი მაშინ ჩემო, იმ სიტყვათა მთლად **გამგონი,**
გავიცინებ მეგობარო, გავიცინებ ვით დემონი!

III

მთვარე ისევ დაკაშკაშებს ცის სივრცეში კვლავ დასცურავს,
ლაჟვარდ ტბაზე ვერცხლის ბადეს კვლავ აფარებს, კვლავ ახურავს;
კვლავ ციგლიგებს ცელქი სიო და ტბის ბირი კვლავ ირხევა;
მის გულ მკერდში მარგალიტი ხან ცქრიალებს, ხან იბნევა.
კვლავ ეხვევა ქალი ვაჟსა, კვლავ იმ სიტყვებს ეუბნება:
„უკვდავია სიყვარული, არ მოკვდება, არ მოკვდება“.
და მეც მინდა რომ ამ სურათს შევუერთო სული, გული,
ფრთა შევისხა აღმაფრენის, დავივიწყო გულის წყლული,
მაგრამ ძალა აღარ შემწევს, აღარ არის ჩემში გრძნობა;
გაქვავებულ ჩემს არსებას მხოლოდ ქვეყნის ახსოვს გმობა.
ჯეკ ლონდონო! ჯეკ ლონდონო! მეც იდენის მტანჯავს ალი,
ნუ თუ ვკითხო სვინბირიონს, და მისი ვსვა მეც წამალი?!
მაგრამ არა, ამა ამ გზით მარქვით, თუ ვინ რას გახდება!
სიცოცხლეში ტანჯვა არის და სიკვდილში რა იქნება!
მაშ დე ჩემი შავი ხვედრი, დე თუნდ ტანჯვით თვით ვატარო,
არც ავთრთოლდე სიხარულით და არც სევდის ცრემლი ვღვარო.
და ოდესაც დადგეს ჟამი და მეწვიოს სულთა მკვეთი,
დე აღსრულდეს—დე დავეცე ულმოდ მისგან განაკვეთი.

...და დავსდუმდი, და შავ ფიქრებს,
მგესლავ ფიქრებს მივეც თავი;
ტბა ირხევა ვერცხლის ქსელში,
ობლად სცურავს ჩემი ნავი...

1 აგვისტო.
ქ. ბოლგრადი.

ს. ურუშაძე.

ახალი ამბავი.

გუშინ დილის მატარებლით, 9 საათზე ქუთაისში ჩამოასვენეს 10 მუშის გვამი,

მსხვერპლი გამხდარან აფეთქების, 10 ქუთაისში ჩამოასვენეს, თორემ, როგორც გადმოგვცემენ დახოცილი უფრო მეტი ყოფილა.

✦ ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი გუშინ დილის მატარებლით დაბრუნდა ქუთაისში, რომელიც სხვადასხვა საქმეების გამო თბილისში იყო წასული.

✦ ქიმიური ლაბორატორიის გამგის გადმოცემით ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გავრცელებულა სხვადასხვა სანოვაგის ფალსიფიკაცია, ამის გამო ხსენებული ლაბორატორიის გამგე სთხოვს მცხოვრებლებს მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და თუ აღმოჩნდება სადმე საეჭვო ღირსების სანოვაგე, გააგებინონ მას გამყიდველის სახელი და გვარი რომ საშვალება ექნეს ასეთი პირის პასუხის გებაში მიცემისა.

✦ ქუთ. სახ. უნ. გამგეობის თაოსნობით კვირას 20 ნოემბერს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი პოლონელ მწერლის ჰენრიხ სენკევიჩის, სულის მოსახსენებლათ, დაიწყება დილის 11 საათზე.

✦ დასავლეთ საქართველოს აგრონომ ა. მ. ვასილევსკის განზრახული აქვს გამოიწეროს ფირმა „ბატესაგან“ სინემატოგრაფული აპარატი იმ ლენტებით, რომლებზედაც გადაღებულია სურათები სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებიდან. განზრახული აქვს აგრეთვე შეიძინოს რამოდენიმე დაუმხადებელი ლენტი, რომლებზედაც თვით აგრონომები გადაიღებენ სურათებს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებიდან.

✦ საქონლის ჭირი უფრო, რომ არ გავრცელებულიყო არქიელის გორაზე შეუდგენ საქონლების—ჭირის საწინააღმდეგოთ აცრას. როგორც გადმოგვცემენ ამ საშვალების მეტი ზიანი მიუყენებია საქონლის პატრონთათვის, ის პირუტყვები, რომლებსაც აუცრეს ერთიანად დახოცილან, ჯერ ჯერობით მომკვდარა 15 სული მრავალ პირს უღელი მარჩენალი ხარები დახოცია.

✦ მესამე დღეა რაც ქუთაისში პურის კრიზისმა საშინელ სახე მიიღო, პურის შოვნა შეუძლებელია ისე თუ დილიდან-საღამომდის რიგში არ ჩადექი, შემდეგ შეიძლება დიდი ბრძოლით ეღირსო პურს, თუ შეიძლება პური ვუწოდოთ იმ ნახევრად ცომ რაღაც შავ ტალახის მსგავს მძიმე ნივთიერებას. ამიერიდან სასანიტარო ექიმის განკარგულებით დაუყოვნებლივ დაიხურება ის ფურნეები რომლებშიც ასეთი პური აღმოჩნდება.

✦ სახელმწიფო საბჭოს წევრი თ-დი კ ნ. აფხაზი გუშინ გაემგზავრა ქ. პეტროგრადს.

✦ ხვალ, 20 ნოემბერს სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია ამავე ბანკის დამფასებელთა არჩევნები.

✦ ქუთაისში განზრახული დაზარეთები დაჭრილ ჯარის-კაცთათვის, რომლის ხარჯები სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირს უნდა გაეღო—და არ გაიღო—ამის გამო აღარ იხსნება.

✦ შუამდგომლობა სოფელ ფერსატის (ქუთ. მ.) მცხოვრებლები: ილია ყიფიანი, ილია ცქიტიშვილი, ლადიკო ფერაძე, ისიდორე და დომენტი მგელაძეები შუამდგომლობით მიმართავენ ქუთაისის გუბერნატორს, რათა ნება დართონ მათ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება ხსენებულ სოფელში სახელწოდებით „ერთობა“.

✦ უკარგისი პური. გუშინ ქალაქეს ქიმიური ლაბორატორიის გამგემ ანალიზი გაუკეთა ქრ. ნიკოლოზის ფურნის პურს, რომელიც სრულიად უმცხვარი და უვარგისი აღმოჩნდა, ანალიზი გაუკეთა აგრეთვე იოსებ ფოფხაძის ფურნის პურს, ისიც უვარგისი გამოდგა, გამგემ პირველს ოქმი შეუდგინა, ხოლო უკანასკნელს დროებით დაუკეტა ფურნე.

✦ გუშინ ახლო მახლო სოფლებიდან ქალებმა დიდ-ძალი აბრეშუმის ძაფი და ნაქსოვი ფუთქი შემოიტანეს. აბრეშუმის ძაფი კარგი ღირსების იყიდებოდა კვერცხი (1/8 გირ.) 1 მ. და 40 კ. მეორე ხარისხის 1 მ. და 20 კ. ნაქსოვი ფუთქი კი სხვადასხვა ფასებში, რომლებსაც ებრაელები ყიდულობენ და რუსეთში მიაქვთ გასასყიდად.

✦ ქუთაისის გუბერნიაში ბარიტის (მადანია) ფასი მოიმატა [illegible] ფასობდა მხოლოდ 2[illegible] ფასობს 90 კ-დან 1 მ-დე და ხანდისხან უფრო მეტიც

✦ უკანასკნელ ხანებში თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი ოფიცრები: პრაპ. ანდრია კონსტანტინეს ძე ზოზულია და გრიგოლ ივანეს ძე ხონელიძე.

✦ მტერთან მამცობისათვის დაჯილდოეს შემდეგი ქართველი ოფიცრები: წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვრით: პრაპ. ალექსანდრე კობიაშვილი, და პორუჩიკი ირაკლი ავალიანი. წმ. ანნას მეოთხე ხარისხით პრაპ. გიორგი ეფრემიძე წმ. სტანისლავას მესამე ხარისხის ჯვრით: პრაპ. აბესალომ მგმლობლიშვილი.

✦ სოფ. ცუცხვათში (ქუთ. მაზრა) განუზრახავთ დაარსონ ორ კლასიანი სამინისტო სკოლა ესევე სოფელი კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილი ყოფილა. ერთი მიზეზთაგანი ამისა ყოფილა მისი ქალაქზე მოწყვეტა უგზოობის გამო. აქ ამას წინათ შუამდგომლობა აღძრეს წიგნთსაცავ სამკითხველოს გახსნის შესახებ მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუკმაყოფილებიათ.

✦ სოფ. ტოპანიერში (ქუთ. მაზრა) კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო გაიხსნას უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ამ სასწავლებლისთვის ყველაფერი მზათაა და ამ დღეებში დაიწყება მოწაფეების მიღება და მეცადინეობა.

მოხელეების დაწერა უკვე დამთავრდა, რომელიც წარმოებდა „ჩვენი მეგობრის“ რედაქციაში. ჩაწერილი მოხელენი მხოლოთ იმას უყურებენ როდის გმოეცხადებათ მათ და ან სად წაიყვანებენ.

✦ თფილისის სასამართლო პალატის სესია—ქუთაისში 23-24-25 26 – ნომმბერს გაარჩევს სისხლის სამართლის აპელაციურ საქმეებს.

✦ ქალაქის სასამართლოს ეფიცერი პროკურორი ოკიშორი, რომელიც კარგა ხანია გადაყვანილია თფილისში, გაემგზავრება პირველი დეკემბრიდგან.

✦ ოდქის სასამართლოს თავჯდომარე ბ. ნიკიტინი კარგა ხანია ბათუმში იმყოფება თავისი შინაური საქმეები გამო.

✦ ბრ. თავჯდომარის ამხანაგიბ. მელიკოვსკი თფილისში გადაყავთ უმაღლეს თანამდებობაზედ.

✦ შინაურ ფრინველების ჭირმა გურიაშიც იჩინა თავი და ზოგიერთ სოფელში, სულ ამოწყვიტა ფრინველები.

✦ სოფ. ჯგალში (ზუგ. მაზრა) ამ რამოდენიმე დღის წინათ ავადაკებს ვატა კირსუასათვის წაურთმეევიათ 180 მანეთი. როგორც პოლიციას გამოურკვევია ეს ბოროტ მოქმედება ჩადენილი არის ილარიონ კვარაცხელიას და ა. ტურტუხიას მიერ. უკანასკნელი დაუჭერიათ.

კავკასიის ქრონიკა.

— **ოზურგეთში** სტრიხინით თავი მოიწამლა ლ ჯაველიძისამ ის ხანში შესული იყო. სიკვდილის მიზეზათ ასახელებენ ფულის დაკარგვას, რომელიც სიკვდილის შემდეგ მისვე სახლში აღმოჩენილა.

ამ რაოდენიმე დღის წინ ქალაქის განაპირა უბანში, ნოტანების ხიდთან, ყელგამოჭრილი კაცი იპოვნეს, რომელიც ბეგთა-ბეგოვი აღმოჩნდა.

აქ არსებობს ორი სავაჟო სასწავლებელი: სასულიერო და უმაღლესი პირველ დაწყებითი, სასწავლებელი. სასულიერო სასწავლებელი კარგ ნიადაგზე იყო დაყენებული ამ დრომდი, მაგრამ ერთ ვაჟბატონს მოუნდომებია სასწავლებლის სამუდამოდ დაკეტა. ეხლანდელმა ხმოსნები ამ საქმის გამოკვლევას შეუდგენ. უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში სამი წელიწადია რაც რომ ბ. ჭყონია გაამწერეს ინსპექტორად. მან ენერგიული შრომით დიდად გააუმჯობესა ეს სასწავლებელი. თ. ა.

— **ახალ-სენაკი** 1 ნოემბერს აქ უბედურ შემთხვევას ქონდა ადგილი სასულიერო სასწავლებელის მესამე კლასის მოწაფე აბულაძემ უცაბედად რევოლვერით მოკლა თავისი ამხანაგი მეოთხე კლასის მოწაფე კიკიანი.

წელს სხვა მოსავალთა შორის პირველი ადგილი უჭირავს თაფლს, მსგრამ იგი ჩარჩ-ეაჭრებს ჩაუვარდა ხელში და სულ მცირე ფასებში გაიყიდა. კოოპერატივი [illegible] რომ ყურადღება ეგდოთ ამ გარემ[illegible] თვის და თაფლის გაგზავნა მო[illegible]

ლმა გასტენა ნავალები ფულით მისი “ბებერი პორტმანი“.

——

კარგად შეზარხოშებული სოგრატა გაბილაძე იქვე ტახტზე გაგორდა და ოაფლოს ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დაიწყო:

— ეგ ოცდათორმეტი თუმანი, თაფლოჯან, მომცა ბიჭია დათვაძემ. ოცდათი თუმანი კიდევ უნდა მოეცა, რომ მისი შვილი სულ განთავისუფლებულიყო. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, დავსტრიალდი. მივმართე ჩვენი პეტრეს შვილს მიხელას ქალაქში ყველა იცნობს, ჩინოვნიკი კაცია, კარგი ჯამაგირი აქვს.

— შეუძლია მიხელას რამე?

— ნუღა მკითხავ, თაფლო, ხვეტას, მარა ხვეტავს როგორც გავიგე მიხელა მოელაპარაკა ანეტა გრთულაძეს.

— ვინ ანეტას, კაცო.

— შენ ვერ იცნობ, კნეინაა.

— სოგრატ, ნუ თუ ქალებიც ახერხებენ მაქგვარ საქმეს.

— საწყალი!. ძინავს! ქალებია, თუ აკეთებს ამგვარ საქმეს.

— მერე, მერე!.

— ასე, მიხელას ეთქვა ანეტასათვის. ანეტა, როგორც გადმომცეს, მოლაპარაკებოდა ნაცნობ სამხედრო პირს, ეს უკანასკნელი კიდევ თავის ნაცნობს, ეს კიდევ სხვას, ის სხვა კიდევ ექიმსო. ღმერთმა იცის ასე იყო თუ არა. ეს კი ვიცი, რომ დათვაძის ბიჭი ნახევარი წლით გაანთავისუფლეს და, რაღა დაგიფიცო, გაანთავისუფლა საკუთარმა ავათმყოფობამ. ეს ფულები მე მერგო და შენ მოგიტანე...

ამ სიტყვების შემდეგ სოგრტატამ ტკბილი ხვრინვა ამოუშვა.

მეორე დილას ადგა გამოეწყო და ბუხრის წინ საუზმეს მოუჯდა.

სოგრატა ელოდა როსაფა ყრუაძეს და დიდათ ესიამოვნა როცა ცოლის ხმა გაიგონა:

— სოგრატ, ვისაც ელოდი, მოვიდა.

— ა, ძალიან მესიამოვნა, როსაფა მოდი გენაცვალე, მოდი.

— ბატონ სოგრატ ვახტანგიჩს გაუმარჯოს!..

— გაგიმარჯოს!.. მოდი, ჩემო როსაფა, როგორ არის საქმე მივდივართ?

— კი, ბატონო, მივდივართ.

— შენი ილიკო სად არის?

— მოგვეწევა შენი ჭირიმე, რაღაცები შეგვიმზადეს ქალებმა და ხურჯინს აწყობდა.

— აა, ხურჯინიც კარგია, როსაფა ჩემო, მაგრამ შენ რომ იცი, ის ხომ ჩაწყობილი გაქვს უმისოდ ჩვენი წასვლა, როგორც გითხარი ამას წინად, ფუჭი იქნება.

— დარდი ნუ გაქვს, სოგრატ ვახტანგიჩ, ის, ჩვენ რომ ვიცით, სამი დღის წინად ჩავაწყვე. ძლიერ გამიჭირდა, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა. მისთანა მოზვერი გავყიდე, ბატონო სოგრატ, რომ ერთ შვილად ღირდა, ადგილი დავაწინდრე, ზოგიც მოყვარე კაცს გამოვართვი ნეტავი რაშე კი გაკეთდებოდეს და არაფერს არ დავზოგავ.

— ძალიან კარგი!. **აბა მივდივართ** თაფლო, მამა ნუ **წაგიწყდება, ერთი ჭი**ქა არაყი მოართვი როსაფას, **ხომ** იცი ეგ რა პურ-მარილის კაცია.

— ბატონო, რად იხარჯებით, არ არის საჭირო.

— მიირთვი, როსაფა, მიირთვი, არის ღვთის მადლით, გუშინ სამი ბოთლი მოიტანა ერთმა შენმა მეზობელმა.

— იცოცხლეთ, ბატონო, სიტკბოება მოგცეთ, სიმწარე **აგაშოროსთ.**

— **ერთი კიდევ, როსაფა ჩემო, ერთი**

— **ბატონო, დავითვრებით.**

— **არა უშავს** რა ოთხი ჭიქა დავლიე **შენ** მოსვლამდიო. **მაგრამ** შენი ხათრისთვის კიდევ დავლევ.

— თაფლო, **მივდივართ. შენ** იცი და აქაურობამ.

— წაბრძანდით, ნუ **დაიგვიანებთ.** აქაურობის **დარდი** ნუ **გექნება. წაბრძანდით** ღმერთმა ხელი **მოგიმართოსთ.**

გორგი.

(**დასასრული** იქნება)

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ლხს დაუფასებელ დახმარებას გაუწევდენ. ჯერ არც ახლაა გვიან; ჯერ კიდევ ბევრი გაუყიდელი თაფლი იშოვება.

— **ჟიათურა** მეორე კვირაა, რაც ერთი წვეთი ნავთი არ იშოვება დიდ გაჭირებულ მდგომარეობაში არინ როგორც სავაჭროები, აგრეთვე ოჯახები და მაღაროებში მომუშავენი. რაოდენიმე ფურნემ შეწყვიტა პურის გამოცხობა მაზუთის უქონლობის გამო. დაბა ანტისანიტრულ მდგომარეობაშია და ყურადღებას არავინ აქცევს. ფრინველების ჭირი თანდათან მატულობს. შაქრის კრიზისი გრძელდება.

პატარა წერილები.

ნათქვამია: „ერთი შერჩა მელასაო შეეჩვია კბენასაო" ასე ემართებათ ჩვენ მეზობელ სომხებსაკ.ბ. რომ სოლიდარობა დამყარდეს აუცილებლად საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ აილაგმოს მათი განზრახვანი.

ვინ არ იცის რომ სომხები ჩვენი სამშობლოს გენაპირა ადგილების ჩამოკრას ლამობენ და თავისთვინ ისაკუთრებენ; ეხლა ამასაც ღარ ჯერდებიან, შუაგულ საქართველოში გვიხტებიან, როგორც მგელი შუაგულ ცხვრის ფარაში შევარდეს, და ქართველ გრიგორიანებს გვტაცებენ და სომხის ერის ნაწილად აღიარებენ. თუ რა უკიდურესობამდი მიდიან ეს ვაჟბატონები ამას რუსულ გაზეთ „Баку"ში „ორიზონიდან" გადმობეჭდილ შენიშვნიდან დავინახავთ.

ეს ორივე შოვინისტური გაზეთი წარბ შეუხრელად, გაუწითლებლად თავის ფურცლებზე აცხადებენ, რომ ქალბატონი ანასტასია წერეთელი—თუმანიშვილი (сестра кн. Г. М. Туманянъ), ჩვენი ცნობილი მოღვაწე გრ. გველესიანი (кугаисскій армянинъ), ი. გრიშაშვილი (харбухскій армянинъ), ყველა სომხები არიანო და ამიტომაც არაფერი არ განაცხადეს გაზეთ „სამშობლოს" ღია შეკითხვაზეო.

ჯერეთ ერთი, რომ ბ. ახოსპირელმა პასუხი გასცა ბ. ზაქარია ჭიჭინაძის შეკითხვას და ნათლად დაამტკიცა თავის ქართველობა და მეორე ისეთ პირებს, როგორიც ქ-ნი ანასტასია წერეთელ—თუმანიშვილი, გრიგოლ გველესიანი და ი. გრიშაშვილია ვის აქვს უფლება რომ მათ სომხები უწოდოს. ეს პირები სისხლიან ხორციანად ქართული იდეიისათვის იწვიან და რომ სომხები იყვნენ, ნუ თუ ამას ჩაიდენდენ და ერთხელ მაინც არ გამოამჟღავნებდენ თავის სომხობას?! ნათქვამია „ურია რომ გაღარიბდება ძველ თამასუქებს მოძებნისო" და კარგი იქნება სომხები თავის ეროვნების აღსადგენად საქართველოში არ დიწყებდნენ თამასუქების ძებნას.—*)

მ. ბუაჩიძე.

*) რამდენადაც ჩვენ ვიცით პ. ტივცემულ გრ. გველესიანს უკვე დამზადებული აქვს პასუხი ხომხის შოვინისტებისადმი და ამ დღეებში აპირებს [illegible] დაბეჭდვას. იმედია სხვებიც ხმას ამოიღებენ [illegible] ბოლოს მოუღებენ ყდველ გვარ მითქმა [illegible] რედ.

† ჯეკ ლონდონი.

ამერიკის დასავლეთის ერთერთ შტატში სახელდობრ კალიფორნიაში გარდაიცვალა ამერიკის გამოჩენილი მწერალი ჯეკ ლონდონი, ჩამომავლობით ინგლისელი.

ჯეკ ლონდონი პირველ ხარისხოვანი მწერალი იყო. მის აუარებელ მოთხრობებს და რომანებს გატაცებით კითხულობდნენ და დღესაც კითხულობენ დიდი თუ პატარა.

მარტივი და ლამაზი სადა ენა, უბრალო შინაარსი და ბუნების სალი, გამამხნევებელი სურათები ჰი, რა ამკობდა ამ ფრიად სიმპატიურ მწერალს.

მის მოთხრობებში და რომანებში ვერ იპოვებთ ვერც ძველი წესწყობილების დასანგრევად ხალხის მოწვევას, ვერც ბაირონისებურ უიმედობის სევდიან ძახილს, ვერც ეროვნულ ჰანგებს ან და რაიმე სამეცნიერო-საფილოსოფიო აზრების ბელეტრისტულ გადმოცემას დაინახავთ ჯეკ ლონდონის ნაწარმოებში; ე. ი. არაფერი იმის მაგვარი, რითაც აქამდე თავი მოჰქონდა სხვადასხვა ხალხის ლიტერატურას, არ მოიპოვება ჯეკ ლონდონის ნაწერებში;

მაგრამ მიუხედავათ ამისა ჯეკ ლონდონმა მთელ ქვეყნიერებაზე გაითქვა სახელი, თითქმის ყველა ენებზე გადაითარგმნა და საყვარელი საკითხავი გახდა ყველასათვის.

ჯეკ ლონდონმა მთელი სალიტერატურო შკოლა შეჰქმნა; მას მიჰდევრები გამოუჩნდა, როგორც თვით ამერიკაში ისე კონტინენტზე.

მიუხედავათ ამისა, როდესაც ადამიანი ჯეკ ლონდონის რომელიმე წიგნს კითხულობს, ჰფიქრობს; რა არის ან რის თქმა უნდოდა ავტორს, რა აზრს ჰქადაგებს, რა რწმენის კაცია ავტორი?" და ჰკვირვობს მკითხველი, ჯ. ლონდონის ნაწარმოებში იგი ისეთს არაფერს ხედავს, რომ მისი ავტორი პატივცემის ღირსი იყოს.

მაგრამ, როდესაც მკითხველი ნაწარმოებში სხვადასხვა აზრების ძიებას თავს გაანებებს და იმას დაუკვირდება, თუ რა აგრძნობინა ამ წიგნმა მას და რა გავლენა მოახდინა მის სულზე, ნათლად დაინახავს ჯეკ ლონდონის ნიჭის ჯადოსნურ ძალას.

ამ მწერლის ნაწარმოებთა გმირები მაღალი სულისა და ძლიერი ნება ყოფის პატრონეები არიან.

გაჭირვების ატანა, დაბრკოლებათა და თურგვნა და მიზნის მიღწევა—აი რა ახასიათებს ჯეკ ლონდონის გმირებს.

ერთ ერთ თავის ნაწარმოებში ჯეკ ლონდონი მოგვითხრობს აფრიკის ველურთა შორის მცხოვრებ ამერიკელის ამბავს. ამერიკელს რაღაც პლანტაცია აქვს, რომელზედაც კაცი ჭამია ველურებს ამუშავებს. ეს ამბავი ერთ განმარტოვებულ კუნძულზე ხდება და სანოვაგე როგორც ამერიკელისათვის ისე ველურებისათვის ყოველკვირა ამერიკის ერთს გემს მოჰქონდა. რაღაც მიზეზების გამო ორი კვირა ზედიზედ არ მოსულა კუნძულზე. მშიერი ველურების უმეტესი ნაწილი ავად გახდა და ერთად ერთ ამერიკელის მოსავლელად გახდნენ, ბოლოს ავად გახდა თვითონაც; მას პირდაპირ სულს უხუთავდა ციებ ცხელება; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თვით ველურებიც კი ვერ უძლებდნენ, ჩვეულ ციებ ცხალებას და იხოცებოდენ ამერიკელი სულის სიმტკიცის, ძლიერი ნებისყოფისა და სალი, მაგარი ძარღვების წყალობით ლოგინს არ გაკარებია და პირიქით ავათმყოფ ველურებს არჩენდა.

ხოლო, როდესაც ჯანსაღად დარჩენილი კაცი ჭამიები აუჯანყდნენ ამერიკელს და შეუმა მოუნდომეს, ამერიკელი არ დაიბნა, არ შეშინდა და პირიქით, რაღაც არა ჩვეულებრივი სულის ძლიერება გამოიჩინა. აივანზე მდგომი ამერიკელი ერთ ხანს დააშტერდა მის შესაჭმელად მოსულ, ცულებით, ნიჩბებით და ფიწლებით შეიარაღებულ ველურებს,—ქორივით დაეფრინდა აივნიდან აჯანყებულებს და რამდენიმე წამის განმავლობაში ყველანი გაჰფანტა და სამუშაოზედაც დააბრუნა ყველანი. არ გასულა დიდი ხანი და კუნძულს სურსათით დატვირთული გემი მოადგა. ამერიკელი გემის ექიმმა მოარჩინა და კუნძულის ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

ისეთი სალი და ძლიერი პიროვნების მხატვრული სურათი, როგორც არის ამ მოთხრობას გმირი, სულს უდგამს და ცხოვრების იმედს ულვიძებს ძარღვებ დაძენძილს, სულით დაცემულსა და ჯანდაავადებულ თანამედროვე ევროპის კანტორისა და კაბინეთის ხალხს; აგრძნობინებს მათ, რომ ადამიანი მართლაც ღმერთია ბუნებისა და მის ხელშია ქვეყნის ძალთა სადავეები; თუ ადამიანს ვერ გამოუყენებია ჯეროვნად თავის უპირატესობანი და უიმედობას მოუცავს მისი სული, ამაში ბრალი ედება მხოლოდ ცხოვრების იმ პირობებს, რომლებშიაც იგი აღზრდილა და იმყოფება.

Futurus.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ოლტოფო (სენაკის მაზრა). ამ მოკლე ხანში აქ ფეხი მოუდგია ძველებურ ზნე ჩვეულებას— ქელეხს. იმის მაგვარად, რომ ამ სიძვირეში ცხოვრების სიძნელეში, მიცვალებული რაც შეიძლება ნაკლები ხარჯით დასასთლოთ, როგორც „თან. აზრი" გადმოგვცემს, იქ ტირიდის გამართვა მოუწევიათ: მოაქვთ ბურ-ღვინო, უმსხვინძლდებიან მტერ მოუვარეს და ქელეხს მართავენ. ეს გარემოება მთელ ოჯახს აწუხებს და მას განადგურების გზაზე აყენებს.

— **სოფ. ჟორეთი** (შორ. მაზრა). ომმა უველაფერი არიგ-დარია. გუშინდელი ტოტად, თუ ბეგრად, პატიოსანი კაცი, დღეს სიმდიდრის სურვილმა გაიტაცა და ექსპლოატაციას ეწევა. ხალხი კი განადგურების გზაზე ადგია. საითაც უნდა გაიხედო უველგან შეიწროება, უველგან უნუგეშობის სურათი გეშლებათ. თ. ა.

— **სოფ. ტყვიავი** (გორის მაზრა). აქედან დიდ კაჭვრებს იწერებიან. რადგან ახალგაზდობა ომშია გაყვანილი, ქალებმა და მოხუცებულებმა საქმეს თავი ვერ გაართვეს და სოფელი თითქმის იდუბება. ერთბაშად აუარებელი მუშა ხელის წასვლამ სოფლიდან, უკანასკნელი დიდ საკონებელში ჩაგდო. დარჩენილ ახალგაზდობამ ლოთობას მიჰყო ხელი და საქმე უგულმართად მიდის. სოფელი ღარიბდება და მარტო სარქისს, ისაკის და ვასილ ბეტროვიჩის ჯიბე სქელდება და გრძელდება. მიწა გადაუსრუნებელი რჩება, ბელელი ცარიელდება, მომავალი უიმედობით ივსება, დარჩენილი ხალხი ლოთდება. საშინელი სურათი იშლება, სოფლის წინაშე უფსკრული მოსჩანს და თუ მასზე ხიდი არ კაიდო, თუ რომ სოფელმა მას რამე არ უშველა, იგი შავბნელში ჩაიდუბება.

ახლა უნდა სიმარჯვე; ახლაა საჭირო, რომ საზოგადო დაწესებულებამ მხურვალე მონაწილობა მიიღოს და სოფელი დადუბისაგან იხსნას, საჭიროა ხალხს აუხსნათ თანამედროვე მდგომარეობა, მოაშორო ლოთობას და თვალწინ დაუყენონ სოფლის მერმისი, თუ იგი ამ კაჭრვებაში მეტ მხნეობასა რ გამოიჩენს. ს.

დ. შორაპნიდან იწერებიან, რომ იქ არსებობს ორგანიზაციანი სამინისტო სასწავლებელი. დღეს სასწავლებელში სამი მასწავლებელია, სწავლის საქმე რიგიანად მიდის, მაგრამ ტოტა არ იყოს ქართული ენის სწავლება მოისუსტებს. სასურველია რომ სასწავლებლის გამგემ ბ. კიკნაძემ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

აქვე არსებობს საკრედიტო ბანკი. მის დაარსებაში დიდი დვაწლი მიუძღვის ბ. ტრიფონ გორგაძეს და კოტე ბუაჩიძეს. საქმე კარგად მიდის და იგი მასლობელ სოფლის საქმეთხველოებს დიდ დახმარებას აძლევს. აქვე გოსპერატიული დუქანია, რომელიც კარგად მუშაობს.

სამწუხარია, რომ შორაპნში ჭიათურის რკინის გზაზე მთავარი სადგურია, მცხოვრებლები უმეტესი ქართველობაა და სუფველა რკინის გზის ეკლესიაში დაიარებიან, სადაც წირვა ლოცვა სლავურ ენაზეა. თუ აქური ქართველობა ეკლესიის აგებას ვერ მოახერხებენ, ოთახის ქირაობა მაინც შეუძლიათ. ოთახში შეუძლიათ სამლოცველო სახლი გახსნან და ლოცვა წირვა თავიანთ სამშობლო ენაზე იქონიონ იმედია, ადგილობრივი ინტელიგენტია ამ საკანს უყურადღებოდ არ დასტოვებს.

— **ფუხუთი**. ამ ბოლო დროს აქ ძრიელ გახშირდა საქონლის ჭირი, რამაც სოფელს დიდი ზარალი მიაყენა. არის ისეთი ოჯახი სადაც ჭირმა თითქმის ყველა საქონელი გაწყვიტა, ასეთ დროს კი საქონელი მეტად საჭიროა, რადგან გლეხმა ზამთრისთვის შეშა უნდა მოზიდოს. ამ ჭირმა აქაური გლეხობა აუტანელ პირობებში ჩააგდო.

— იქიდანვე სწერენ, მოსავალი წელს კარგი იყო, მაგრამ სამწუხაროდ შეშა ხელის ნაკლებობის გამო მიწა ტოტა დამუშავდა. ვინც კი ტოტათი მაინც შესძლო მიწის დამუშავება, მას საკმაო სარჩო მოუვიდა.

სოფ. ზემოხეთი. გზების შეუკეთებლობის გამო ადგილობრივი მცხოვრებნი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. სოფლის მკვიდრნი ორ ნაწილათ არიან გაყოფილნი; მათ გზა ჰყოფს და ამ გზის სარგებლობის გამო ამ ორ მცხოვრებთა ნაწილს ერთმანეთში შუდმივი შეფოთი აქვთ. სოფელში მეოთხე-მარჩიელობამ ფესვები გაიდგა, უმრავლესობა მათ შორის კასათხოვარი ქალები არიან. მეათხეულს ხალხი ბლომად აწყდება

რუსეთი.

ტრეპოვს განუცხადებია სასურსათო საქმე მიწათ მოქმედების მინისტრის ხელში დარჩება ისევ და ბობრინსკის გადაყენების გარდა არავითარი ცვლილება არ მოხდება მინისტრთა საბჭოშიო.

— სწავლა განათლების მინისტრ იგნატიევს უნახულია ტრეპოვი და დიდხანს უბაასნია თავის პროგრამის შესახებ. და სასრულ ტრეპოვს უთქვამს, ძალიან მომწონს თქვენი პროგრამა და აეცდები, რომ ყველა შენი პროექტი განხორციელდესო.

ა. თ. კერენსკის შრომის ჯგუფის სახელით როძიანკოსთვის წერილი გაუგზავნია, რომელშიაც სთხოვს, რომ მან მოიწვიოს ყველა ფრაქციათა წარმომადგენლები და სათათბიროს მომავალ მუშაობაზე წინასწარ ითათბიროს.

— სათათბიროს მემარცხენე ფრაქციებს დაუდგენიათ ჯერ კიდევ მოუცადოს მდგომარეობის გამორკვევას, ვინაიდგან ტრეპოვს არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ ბლოკის პროგრამიდან რაიმე განხორციელდეს.

— ა. ფ ტრეპოვს განუცხადებია, რომ მე 87 მუხლის ძალით მხოლოდ იმ კანონ პროექტს გაიყვანს, რომლების საჩქარესაც ომის საჭიროება მოითხოვს.

— ხარკოვში აღმოუჩენიათ ფარული ორგანიზაცია, რომელიც სულ იაფად ყიდდა სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების ყალბ მოწმობებს.

უცხოეთი.

მექსიკაში მდგომარეობა თან და თან მწვავდება. ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ეხლანდელ პრეზიდენტის გენ. კარანცას აუჯანყდა ახალგაზრდა ფელიქს დიაკი და ჯარს აგროვებდა; როგორც უკანასკნელი ცნობები ამოწმებენ დიაცს მრავალი თანამგრძნობი გამოსჩენია; მას მიმხრობია: გენ. ვილლა, ზაპატა და სობლესტი. ამ ოთხ გენერალს ამ ჟამად 86000 შეიარაღებული კაცი ყავს მზადმეამბოხეებს უკვე დაუპყრიათ რამოდენიმე ქალაქი და ეხლა თვით ქ. მექსიკისაკენ მიემართებიან. გენ. კარანცას კვლავ მოუთხოვია შეერთებულ შტატებისაგან, რომ გაიყვანოს თავისი ჯარი მექსიკიდან. შეერთებულ შტატებს თავის მხრივ ყველა ლონისძიება უხმარია უცხოელთა ინტერესების დასაცველად. მექსიკის ამბოხების მოწყობას მოკავშირეთა პრესა გერმანელებს აწერს.

ეასუხი „ნოქარს"

ბატონო ნოქარო: „მეგობრის" № 203 ჩემი საწინააღმდეგო წერილი მოგითავსებია, სადაც სწერთ: „კარგათ ვიცნობთ დათიკო ქებაძეს მისკენ ყოლისთვერი მოსაღოდნელია და ეხლა ტარიელ მკლავაძეობაც დაუწყია და შუშს, როდესაც ის თავის ინტერესებს იცავდა სილა გაწნა და ამით თავის „სახელი" მოდგწეობა ერთი ბრწყინვალე საქციელით კიდევ გამდიდრა". იქვე სწერთ: „ქებაძის საჯარეში ნოქრები დადგენილ საათების შემდეგ მუშაობენო. ამის გამო გიორგი შაედიას მიუმართავს ნოქრებისთვის, არ შეიძლება ამ დროს მუშაობა და თუთხოვია მადზიის დახურვა და ამის გამო ქებაძეს შეორე დღეს ნოქარი შაედია გაუდახავსო".

ბატონო ნოქარო! რაც შეეხება ჩემს კარგათ ცნობას და ჩემს პირადობის შესახებ, ამაზედ არას გეტყვით, ვინაიდგან თქვენი და „ძმათა თქვენთა" ორგანო არა ერთხელ ეოფილხართ ამხედრებული ჩემზე, დიდი ხანია მდევნით, მაგრამ ვერა დამაკლეთ რა და ვერც აწი დამაკლებთ, ვინაიდგან ბრაზის სწინააღმდეგოთ ატრიდი ვარ და ისეთმა ფურმა უნდა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწეველა. მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა მოიცლებთ თქვენ ჩემი საქციელის გამოძიებას. მაშინ დავინახავთ, ვინ ვარ ბრძანებით და ვისზე რა უგეთესებიცა ხართ.

ეხლა უნდა [illegible] შესახებ.

ვინაიდგან [illegible] სურში გაიწვიეს და მისკენ ალაგი დაიკავა, ულ ხალგაზდა ნოქარმა საჩქაროდ უნდა ჩაეგრებია მადზიის საქონელი და მართვა, ამიტომ დანიშნულ ვადაზე მოუხდათ მუშაობა. ეს [illegible] განსაკუთრებული შემთხვევა როდესაც გიორგი შაედია შეეგრძნიდა ჩემს საგაჭროში გამოკიდებია ნოქრებს ჯოხით დედის და მამის [illegible] ნება დაუწყია ჩემთვისაც.

როდესაც ეს ამბავი გავიგე იმ დროს რა შემხვედროდა, შეიძლება, სილის გაწვნაც [illegible] დამეჯერებია მისი მხეცური მოქმედებისათვის ვინაიდგან ჩემი დედ-მამა არავის საგინებელი არ არის. გარდა ამისა ბატონი გიორგი შაედია არ არის მეთვალყურეთ არჩეული [illegible] და კიდევაც რომ ყოფილიყო ვინ მისცა უფლება დამთვრალ-გალეშილს შემოგვარდეს ჩემს საგაჭროში. მას შეეძლო თუ წესიერება დაგვრდეთ შეეფუნებია ოქმი. ან და გაზეთში გამოეცხადებია. აგრეთვე მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ნოქრებს და მათ არჩეულთ მეთვალყურეთ გამოარკვიონ ჩემი და ნოქრების მდგომარეობა ყოველი მხრით; აგრეთვე გამოირკვიონ ისიც მართალა, გარდვეგ ნოქრმა ვრობის წეს რიგს თუ არა და ყოველივე გამოაცხადონ გაზეთებში. ამ წერილის შემდეგ ვსთხოთ ყოველივე კამათს.

დ. ქებაძე

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს.	25 წ
„	— საღამ.	— 8 ს.	50
ბათომიდან	— ღამისით	— 12 ს.	40
„	— ღამის	— 2 ს.	20
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	26
ტყიბულიდან	—საღამოს	— 7 ს.	00
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	24

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	— დილის	—11 ს.	—
„	— ღამის	—12 ს.	15
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს.	3
„	— დილის	— 5 ს.	55
ფოთისაკენ	— ღამისით	— 4 ს.	
ტყიბულისაკენ	— დილის	— 8 ს.	13
შორაპნისაკენ	—ღამით	— 5 ს.	18

ავი სენი.

ეოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენად ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიეყვანა ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაციდები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამგენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ თავისუფლებს ავათმყოფს საკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულთ წამლობის დროს.

პრეპარატი. ექ. დე ვეზისა სრულებით სხობს სიფილისის ბაციდებს და სუფთა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სხობს მუწუკებს, ჩირქის დენას, გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სხობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, ძალობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სასუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხამლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფურშიგის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის დაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

კოკულიარული გროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)

[illegible] ბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.